DOI: https://doi.org/10.52340/PUTK.2025.29.08

თეთრიწყლის იაილები – ქართული იდენტობის ავთენტური ძეგლი თურქეთში

TETRITSQALI ALPINE SETTLEMENT (YAYLAS): AN AUTHENTIC MONUMENT OF GEORGIAN IDENTITY IN TURKEY

როინ მალაყმაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო
თამილა ლომთათიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო

Roin Malakmadze
Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia
Tamila Lomtatidze
Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის თვითიდენტიფიკაციის მარკერებს წარმოადგენს საერთო ისტორიული მეხსიერება, კულტურული თვითმყოფადობა, გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასა და ტრადიციულ ეთნოკულტურულ მემკვიდრეობასთან სულიერი კავშირი, რაც განსაკუთრებით კარგადაა შემონახული ქართველთა კომპაქტურად განსახლების არეალსა და იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობას არ განუცდია ადგილმონაცვლეობა. მართალია, აქ ყველგანაა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული წინაპართა ტრადიციები, მაგრამ ტრადიციული ეთნოკულტურის ელემენტების შემონახულობით გამოირჩევა იაილები, მესაქონლეთა სეზონური საცხოვრისები. აქ შექმნილია ერთგვარი კულტურული მიკროკოსმი, სადაც კოლექტიურმა მეხსიერებამ თითქმის სრულყოფილად შემოინახა ქართული ეთნოკულტურული ღირებულებები, ქართველთა ეროვნული იდენტობის ყველა ნიშანი. სტატიაში იაილების ტრადიციული ყოფა და საქმიანობა, რომელიც ფაქტიურად ისეთივეა, როგორიც მათ ისტორიულ სამშობლოში, განხილულია თეთრიწყლის

იაილების მაგალითზე. თეთრიწყლის იალაღებზე დევსქელის ხეობის სოფლების – არავეთის, დევსქელის, ბაგინის, შუახევის და სხვ. მოსახლეობის საზაფხულო სადგომებია. დევსქელის ხეობა კარჩხლის ქედიდან იღებს სათავეს და ჭოროხს ბორჩხასთან ერთვის. ხეობის ყველა სოფელს თავისი „მთა“, „იაილა“ აქვს, სადაც ზაფხულობით გადაჰყავთ საქონელი. მის მოვლა-პატრონობასა და რძის პროდუქტების დამზადებას მეშორდე // მემთევრი ქალი ხელმძღვანელობს. აქ, ხანგრძლივი დროით უცხო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოში ცხოვრების პირობებშიც კი, ძირძველმა ქართველებმა შეინარჩუნეს მშობლიურ ერთან ეთნიკური იდენტობის განცდა და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი მარკერები: ენა, წეს-ჩვეულებები, გადმოცემები, ტრადიციები, მატერიალური და სულიერი კულტურის ისეთი ელემენტები, როგორიცაა საცხოვრებლის სრულიად არქაული ტიპი – ყავრით გადახურული ჯარგვალური სახლი სახურავში გამოჭრილი სარკმლით, მიწური იატაკით, კერით – „ოჯაღით“, „შეშის“ ფიცრული ნაგებობები, საქონლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, ფეიქრობის ტრადიციები, შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმები, ქართული გასტრონომიული კულტურა, ზიარეთობა, მემხლიანობის // მენხლიანობის ჩვეულება, „მარსკლავა გოლთან“ (ვარსკვლავა ტბასთან) დაკავშირებული გადმოცემები და რიტუალები, შუანთობა // მარიობის დღესასწაული თავისი დამახასიათებელი ელემენტებით (ხარების ჭედვა // ჭედობა, კარდაკარ ჩამოვლა სანოვაგის შეგროვების მიზნით, თეთრწყალზე განბანვის რიტუალი, ფერხულობა, სიმღერები, ცხენების ჭენება // ხტუნაობა, შაირობა, ცეკვა // სამობა) და სხვ. და, რაც ყველაზე მთავარია, რიტუალების უმეტესობა თითქმის უცვლელი, არქაული ფორმითაა შენარჩუნებული და ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების ავთენტური ფორმით რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ქართული იდენტობა თურქეთში, მესაქონლეთა სადგომები, თეთრიწყლის იაილები.

ABSTRACT

For For Georgians living in Turkey, the markers of self-identification comprise shared historical memory, cultural identity, spiritual connection to certain historical territories, and traditional ethnocultural heritage. These markers are especially well preserved in areas where Georgians live in compact settlements and in communities that have not undergone displacement. While ancestral traditions persist to some degree across all regions, the seasonal cattle-breeders' summer settlements – yaylas – remain particularly notable for preserving core elements of traditional ethnoculture. Here, a distinctive cultural microcosm has developed, within which collective memory has preserved Georgian ethnocultural values and the defining attributes of Georgian national identity with remarkable completeness. The paper explores the traditional life and activities of the yaylas which, exemplified by the Tetritsqali Alpine Settlement, remain remarkably similar to those in their historical homeland.

The Tetritsqali summer pastures serve as seasonal settlements for the inhabitants of the Devskeli Valley villages – Araveti, Devskeli, Bagini, Shuakhevi, and others. The Devskeli Valley begins on the Karchkhali Ridge and merges with the Chorokhi River near Borchkha. Each village in the valley has its own "mountain" (yayla), where herders drive their cattle during the summer months. The care of the livestock and the processing of dairy products are overseen by a meshorde (female herder).

Even after living for many years within a foreign political, economic, and sociocultural environment, the indigenous Georgians have retained their ethnic self-identification and the core markers of national identity. Their language, customs, oral traditions, and rituals, as well as key elements of material and spiritual culture, have been preserved to a remarkable degree in this community. These include the entirely archaic type of dwelling – the thatched jargvaluri house with a skylight in the roof, an earthen floor, and a hearth (ojakh); wooden structures used for storing firewood; livestock-related customs; weaving traditions; traditional forms of mutual labor assistance; Georgian gastronomic culture. Other significant elements comprise the customs of ziarati (pilgrimage) and memkhlioba/menkhlioba (kinship ties); legends and rituals associated with Marsklava Lake; and the festival of Shuanoba/Marioba, notable for its distinctive features (horse-shoeing, door-to-door collection of food, ritual washing in the waters of Tetritsqali, perkhuloba (collective festivity), singing, horse racing, improvisational verse contests, samoba dancing, and more). Most importantly, many of these rituals have survived in nearly unchanged, archaic forms, allowing for an authentic reconstruction of ancient Georgian beliefs, concepts, and ritual practices.

Keywords: Georgian identity in Turkey, cattle herders' stalls, Tetritsqali Alpine Settlement (yayla).

შესავალი

ოსმალეთის იმპერიის მიერ XVI საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების, მათ შორის აჭარის, დაპყრობის შემდეგ ქართული მოსახლეობის ნაწილის ისტორიული საცხოვრისი თურქეთის ფარგლებში აღმოჩნდა. აჭარა მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად განთავისუფლდა და დედასამშობლოს დაუბრუნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად. ვითარება შეიცვალა 1921 წლიდან, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აჭარის ნაწილი კვლავ თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოექცა. საზღვარმა არა მხოლოდ ტერიტორიულად გამიჯნა სოფლები, ოჯახები, ნათესავები, არამედ ორად გაიხლიჩა ერთიანი კულტურული სივრცე და ტრადიციული ფუნდამენტური ღირებულებები განსხვავებულ სოციოკულტურულ ველში მოექცა. ერთი მხრივ იყო – ჯერ ცარისტული რეჟიმი, ხოლო შემდეგ – საბჭოთა ტოტალიტარიზმი, ხოლო მეორე მხრივ – ოსმალეთის იმპერია, რომელიც ეთნიკური ქართველების ოსმალეთში ინტეგრაციას ეროვნული ცნობიერების ტრანსფორმაციისა და ადგილობრივი მოსახლეობის

გამუსლიმანებას გზით ახდენდა. ბუნებრივია, ცვლილებებს განიცდიდა ქართველთა ისტორიულ-კულტურული მეხსიერება. განსხვავებულ ვითარებაში მოქცეული ეთნოკულტურული მემკვიდრეობა იცვლებოდა და ეგუებოდა ახალ რეალობას, ხდებოდა წინაპართაგან მიღებული ფუნდამენტური ღირებულებების სხვა ეთნოკულტურასთან ინტეგრირება, კულტურული მახასიათებლების გაცვლა, განსხვავებული გამოცდილებების გაზიარება, ყოფის ტრანსფორმაცია, მაგრამ, მიუხედავად ამ გავლენებისა და ტრანსფორმაციებისა, მათ შეინარჩუნეს ეროვნული იდენტობა.

კვლევის მეთოდები

რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების სოფლებში წარმოებული საველე კვლევა-ძიებისას ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოვიყენეთ დაკვირვებისა და ინტერვიუირების მეთოდები. მუშაობა მიმდინარეობდა როგორც ნახევრად ფორმალიზებული – წინასწარ განსაზღვრული კითხვარით, ასევე, თავისუფალი ინტერვიუებით. საკითხის სიღრმისეული კვლევისა და რეალობის ავთენტურად და სრულად რეკონსტრუირებისათვის, ნარატივებთან ერთად, მოვლენების ფიქსაციის დროს, ვიყენებდით დაკვირვების მეთოდს. ამდენად, კვლევა ეყრდნობა როგორც სუბიექტურ-რაოდენობრივ, ასევე, ობიექტურ-ხარისხობრივ აღწერილობას.

ინფორმაციის მოპოვების პარალელურად მიმდინარეობდა კამერალური სამუშაოები – საველე მასალების დამუშავება და ანალიზი. გამოყენებულ იქნა შედარებითი ანალიზისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები; შესწავლილ იქნა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა მოცემულ თემაზე, რაც დაგვეხმარა კვლევასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებაში.

მსჯელობა

თურქეთის რესპუბლიკაში, უცხო გარემოში მოხვედრილი ქართული ეთნოსის ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის თვითგადარჩენის საშუალებად იქცა ეთნოკულტურის ელემენტები: ტრადიციები, რიტუალები, დღესასწაულები, ფოლკლორი, ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობები, ტრადიციული ღირებულებები, ყველაფერი ის, რაც აყალიბებს პიროვნების ეთნიკურ იდენტობას და რაც თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა. თუმცა ქართველ მეცნიერებს მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და საზღვრების გახსნის შემდეგ მიეცათ თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან მუშაობისა და იმ ცვლილებების შეფასების საშუალება, რაც ეთნიკურმა იდენტობამ განიცადა. აღმოჩნდა, რომ საუკუნეების განმავლობაში თურქეთის ფარგლებში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ქართველების ტრადიციულ ყოფაზე ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკისა და სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენის მიუხედავად, აქაურებმა შეძლეს ხანგრძლივი დროით უცხო გარემოში ცხოვრებისას შეემუშავებინათ საკუთარი კულტურის ერთგულებისა და დომინანტურ კულტურასთან შეგუების სტრატეგიები. აღმოჩნდა, რომ მათი იდენტობის განცდა უფრო მეტად ეფუძნება კულტურის ელემენტებს – ღირებულებებს, სიმბოლოებს, მითებსა და ტრადიციებს, რომლებიც ხშირად წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებშია კოდირებული. ისტორიული პროცესების შედეგად თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ეთნიკური

ქართველებისთვის ისტორიულ სამშობლოსთან ემოციური და სულიერი კავშირის, ერთგვარი თვითგადარჩენისა და იდენტობის შენარჩუნების საშუალება – წინაპართა ტრადიციები – მათ ბოლო დრომდე შემოინახეს. სწორედ ტრადიცია აღმოჩნდა ის ღირებულება, რომელმაც მათ უცხო გარემოში „სხვებისგან“ გამიჯვნისა და ამ გზით იდენტობის შენარჩუნების საშუალება მისცა.

თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა შეინარჩუნეს ქართველთა ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა საყოფაცხოვრებო და საოჯახო ტრადიცია, ხალხური აგრარული კალენდარი და მასთან დაკავშირებული ტრადიციული დღესასწაულები და რიტუალები. ტრადიციების შენარჩუნებით ახერხებენ თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები საკუთარი თავის ასოცირებას ტრადიციულ ეროვნულ კულტურასთან. მათი კულტურულ-ისტორიული მეხსიერება ინახავს წინაპართაგან მიღებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს. თუმცა თვითიდენტიფიკაციის ხარისხი განსხვავებულია ქვეყნის სიღრმეში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებსა და საზღვრისპირა რეგიონების ეთნიკურ ქართველებს შორის. არაერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი (შ. ფუტკარაძე, ფ. ჩილოღლუ, ვ. ერდემლი) უსვამს ხაზს სხვაობას მშობლიური ეთნოსის ტრადიციულ ღირებულებებთან თურქეთის სიღრმეში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირებისა და საზღვრისპირა ტერიტორიაზე ადგილუცვლელად მცხოვრები ეთნიკური ქართველების დამოკიდებულებაში და აღნიშნავს, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენებურები უფრო მკვეთრად ახდენენ თვითიდენტიფიკაციას თავიანთ სამშობლოსთან და მეტი ეთნიკური და სულიერი კავშირი აქვთ მშობლიურ ეთნოსთან. ამასთან, მიუთითებენ, რომ იმ ეთნიკური ქართველების რაოდენობა, რომლებიც ახდენენ თვითიდენტიფიკაციას ქართულ ეთნოსთან, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის საზღვრის გახსნამ და ურთიერთობების ინტენსივობის გაზრდამ (Erdemli 2012: 343-361).

საკუთარი თავის ასოცირებას მშობლიური ერის ტრადიციულ ღირებულებებთან ყველაზე მეტად ახდენენ სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ მცხოვრები ეთნიკური ქართველები, რომლებსაც არ განუცდიათ წინაპართა საცხოვრისიდან ადგილმონაცვლეობა, მოსახლეობენ იქ, სადაც ცხოვრობდნენ მათი წინაპრები, სადაც არის მათ მამა-პაპათა საფლავები, სადაც დაიბადა და გაიზარდა არაერთი თაობა. ისინი არ გადასახლებულან თავიანთი ისტორიული სამკვიდროდან, არ შეუცვლიათ ცხოვრების წესი, უბრალოდ, პოლიტიკური ვითარების ცვლილებით გამოწვეული საზღვრის მონაცვლეობამ განაპირობა ის, რომ სხვა სახელმწიფოს ფარგლებში აღმოჩნდნენ. ამიტომაც მათ დღემდე აქვთ განცდა, რომ მშობლიურ მიწაზე, საკუთარ მამულში აგრძელებენ ცხოვრებას.

ამ მხრივ გამორჩეული რეგიონია **დევსქელის ხეობა,** რომელიც ისტორიულ-ეთნოგრაფიულად ნიგალის მხარეს მიეკუთვნება. ხეობა კარჩხლის ქედიდან იღებს სათავეს და ბორჩხის მიდამოებში ჭოროხს მარჯვენა მხრიდან უერთდება. ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც ამ მხარეში 1890-იანი წლების დასაწყისში იმოგზაურა, წერს, რომ დევისკელის (როგორც ზაქარია ჭიჭინაძე უწოდებს) ხეობის სიგრძე დაახლოებით 40 კილომეტრია.

ხეობა მთავრდებოდა ქარჩალის მთების ჩრდილოეთით მდებარე ძალიან მაღალ მთაზე, რომელსაც „პაწა მთას“ // პატინას ეძახიან ადგილობრივები (ჭიჭინაძე 2013: 134). სწორედ კარჩხლის მთის კალთებზეა შეფენილი დევსქელის ხეობის სოფლების იაილები – მესაქონლეთა საზაფხულო სადგომები.

დევსქელის ხეობაში, თითქმის ყველგან, მეტ-ნაკლებად შემონახულია ქართული ყოფისთვის დამახასიათებელი, იდენტობის განმსაზღვრელი მარკერები: ენა, წეს-ჩვეულებები, გადმოცემები, ტრადიციები, მაგრამ იაილები ის ადგილია, სადაც განსაკუთრებული, ისეთი ეროვნული მიკროკოსმია შენარჩუნებული, რომ თავს ნამდვილ ტრადიციულ ქართულ ყოფაში გაგრძნობინებთ. სწორედ აქაა ყველაზე მეტად გამოხატული ეთნიკური კუთვნილების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები: საერთო ისტორიული მეხსიერება, კულტურული თვითმყოფადობა, გარკვეულ ისტორიულ ტერიტორიასთან კავშირი და ამ მემკვიდრეობასა და ელემენტებთან ინდივიდის მიერ საკუთარი თავის იდენტიფიცირება (სმითი 2008). ქართული აქაურთათვის საოჯახო მოხმარების ენაა, ძირითადად ოჯახურ ურთიერთობებში გამოიყენება და სახელმწიფო დონეზე, მათ შორის სასწავლო პროცესში, მისი გამოყენება შეუძლებელია, ამიტომ ყოველდღიურ ყოფაში იგი ფუნქციონირებს, როგორც იდენტობის სიმბოლო (მაგნარელა 2005), თუმცა იაილებზე ყოფნისას ქართული, ფაქტიურად, ურთიერთობების ძირითად ენად იქცევა. თითქოს იაილაში ყოფნისას ეთნიკური ქართველები თავისუფლდებიან შემბოჭავი ფაქტორებისგან, თავიანთ საწყისს უბრუნდებიან, ხდებიან სრულიად გახსნილები და მთლიანად ტრადიციული ცხოვრების წესით ცხოვრობენ.

ავთენტურობა, უპირველეს ყოვლისა, შენარჩუნებულია იაილების გარეგნულ იერსახეში. მესაქონლეთა საიალაღო სეზონური დასახლებების შემონახულობა განპირობებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ეს ხეობა ტიპურ სურათს იძლევა საქართველოს მთიან ხეობათა შორის ვერტიკალური ზონალობის თვალსაზრისით, რამაც დიდი გავლენა იქონია აქაური დასახლების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, საცხოვრებელ ნაგებობათა დაგეგმარებასა და განლაგებაზე. დასახლების ფორმა იდენტურია მაღალმთიანი აჭარისათვის დამახასიათებელ სერული // სერისპირული, ამფითეატრული და სერულ-ამფითეატრული დასახლებებისა. მთის კალთებზე იაილები ტერასულადაა განლაგებული. გარდა ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობებისა, იაილების არსებობა განპირობებულია ხეობაში მესაქონლეობის განვითარებითაც. დევსქელის ქართველთა სამეურნეო ყოფა თითქმის ანალოგიურია მთიანი აჭარისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ცხოვრების წესისა – ზამთრობით ბარში, ხოლო ზაფხულობით რამდენიმე თვეს ალპურ საზაფხულო საძოვრებზე – „თეთრიწყლის“ საზაფხულო იალაღებზე ატარებენ, სადაც თავს იყრის ხეობის სოფლების – არავეთის, დევსქელის, ბაგინის, შუახევის და სხვ. მოსახლეობა. ყველა სოფელს თავისი „მთა“ // “თა“ ანუ დროებითი, სეზონური დასახლება „იაილა“ აქვს. თეთრიწყალი სწორედ აქედან იღებს სათავეს და ქვემოთ უერთდება მდ. მაჭახელას.

სეზონური დასახლების შიგა სტრუქტურაც აჭარის იაილების ანალოგიურია: ჯგუფებად დგას რამდენიმე ათეული სახლი. ყველა

სოფელს თავისი დროებითი სეზონური დასახლება ან თავისი უბანი აქვს იაილაში. მიუხედავად იმისა, რომ თეთრიწყლის იაილებში უმეტესად თანამედროვე კომფორტული სახლებია აგებული ან ძველი სახლებია მოდერნიზებული, შენარჩუნებულია ტრადიციული საცხოვრებლის არქაული ტიპები – ძირთული ჯარგვალი და ზედშედგმული ჯარგვალი. გვხვდება ე.წ. „შეშის“ სახლები ანუ ფიცრული ქოხები. ტიპური აჭარული მთის საცხოვრებლისთვის დამახასიათებელი ელემენტები გვხვდება არა მხოლოდ სახლების ექსტერიერში, არამედ შიგა დაგეგმარებაშიც. აქ შენარჩუნებულია საცხოვრებლის სრულიად არქაული ტიპი – ყავრით გადახურული ჯარგვალური სახლი. იგი შედგება სამყოფი („დასაჯდომელი“) ოთახის, საძინებლის, მუთვაღის / სუთხანას, იგივე სარძიეს და ჩარდაღისგან. ჯარგვალურ ტიპის საცხოვრებლის „დასაჯდომელი“ ოთახი მიწურია, უფანჯრო და სინათლისათვის და კვამლის გასასვლელად ყავრით გადახურულ სახურავში გამოჭრილი აქვს ცალ მხარეს აწეული სარკმელი – „მენა“, მიწატკეპნილ იატაკზე მოწყობილი ყოფილა „ოჯაღი“ – კერა. მართალია, დღეს კერა ღუმელმა ჩაანაცვლა და ყავრით გადახურული სახლებიც აქა-იქ გვხვდება, მათი დიდი ნაწილი მიტოვებული და დანგრევის პირასაა მისული, მაგრამ თვალნათლივ გვაჩვენებს, რომ თეთრიწყლის იაილებზე ბევრგან სეზონური დასახლების დროებითი საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები შენარჩუნებულია (მალაყმაძე... 2024: 182). იაილაზე საქმიანობა განაპირობებდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სამეურნეო ნაგებობა აქ იყო ახორი, რომელიც, ტრადიციული აჭარული სახლის მაგვარად, ქოხების ქვემოთ უკანა მხარეს იყო მოწყობილი ან ქოხზე იყო მოშენებული და მის გაგრძელებას წარმოადგენდა. თუმცა ბოლო დროს ახორი თანამედროვე საიალაღო სახლებიდან მოშორებითაა აგებული.

იაილების არსებობა განპირობებულია მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობით, აქაურთა ცხოვრების წესით. ხეობის სამეურნეო ყოფა წარმოდგენილი იყო მთური ტიპის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სინთეზით. აჭარის მსგავსად, აქაც მთაბარული მესაქონლეობა იყო განვითარებული, რაც გულისხობდა საქონლის მოვლა-პატრონობას ზამთარში მუდმივი დასახლების ადგილას – სოფლებში, ხოლო გაზაფხულიდან შემოდგომამდე – დროებით, სეზონურ დასახლებაში – ყიშლასა და იაილაზე (მგელაძე 2022). საქონელს ყიშლაზე საზაფხულო იალაღებზე გადაყვანადე აჩერებდნენ მწყემსები, მაგრამ დროთა განმავლობაში ყიშლებმა, როგორც გარდამავალმა, შუალედურმა რგოლმა ბარსა და მთას შორის, დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ამაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა მესაქონლეობის ხვედრითი წილის შემცირებამ ხეობის სამეურნეო ცხოვრებაში. თუ ადრე ყველა ოჯახს დიდი რაოდენობის საქონელი ჰყავდა, მაგალითად, საშუალოდ 40 ცხვარი, 100 თხა, 15 ძროხა და 1 ცხენი (თოფჩიშვილი, 2017: 78), ამჟამად მხოლოდ რამდენიმე ძროხა ჰყავთ და დიდი საძოვრებისა და საიალაღოდ საქონლის გადაბარგების ტრადიციული წესის აუცილებლობაც მოშლილია. დღეს საიალაღოდ საქონლის გადაყვანის ციკლში ყიშლები ამოვარდნილია. ისინი ფაქტობრივად ჩამოყალიბდნენ სოფლებად, რომლებიც საკმაოდ ახლოსაა

იაილებთან. იაილაზე ოჯახის ნაწილის გადანაცვლების შემდეგ მეორე ნაწილი რჩება სოფელში და განაგრძობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

საზაფხულო საძოვრებზე მოიალაღეთა ყოფა-ცხოვრება მამაპაპურ ცოდნა-გამოცდილებას ემყარება. იაილებზე პირუტყვს ქალი – მეშორდე // მეშორთე // შაშორთი ანუ მემთევრი და მოზარდები უვლიან. მეშორთედ კარგად გამოცდილ, საქონლისა და რძის მოვლაში დახელოვნებულ, ჩვეულებრივ, ასაკიან ქალს იჩევდნენ. საქონლის მოწველა, რძის პროდუქტების დამზადება-შენახვა მისი მოვალეობაა. საზაფხულო საძოვრები აგარაკად – „საჰაეროდაც“ გამოიყენება და იგი მცირეწლოვანი ბავშვების დასვენების ადგილსაც წარმოადგენს, ამიტომ მეშორთესთან ერთად „თაში“ ახალი რძლებიც მიდიან მცირეწლოვანი ბავშვებით. მეშორდე, გარდა საკუთარი საქონლისა, ხშირად ახლობლების მიერ გატანებულ საქონელსაც უვლის. საქონლის მიბარების ამ წესს მინდი // მანიდი ეწოდება, მაგრამ, აჭარისგან განსხვავებით, აქ მიბარებულ საქონელს სრულიად უსასყიდლოდ უვლიან, რადგან მხოლოდ ახლობლის საქონელი მიჰყავთ. მეშორდე უვლის საქონელს, აწესრიგებს ახორს, ამუშავებს რძეს და ამზადებს რძის პროდუქტებს, მაგრამ საძოვარზე საქონელი დაჰყავს „თის კაცს“ – სახლეულს გაყოლილი ოჯახის ერთ-ერთ მამაკაცს. ამჟამად მეშორდე რძის პროდუქტებს (სხვადასხვა სახეობის ყველი, ერბო, მაწონი, კაიმაღი, დო, აირანი, ხაჭო) ამზადებს საოჯახო მოხმარებისთვის, თუმცა ძველად, როცა ბევრი საქონელი ჰყავდათ და მისი პროდუქტები შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო ოჯახისათვის, გასაყიდადაც ამზადებდნენ. გარდა ამისა, იაილებში აქვთ სეზონური ბოსტანი, საიალაღოდ „გადაყავდათ“ ფუტკარიც, ქალები თავისუფალ დროს ხელსაქმეს უთმობენ და მთელი ოჯახისთვის ქსოვენ წინდებს, რომლისთვისაც ძაფს თავადვე ამზადებენ მატყლის ნართისგან. ასევე, ქარგავენ ტილოებს, მაგიდის საფრებს, საწოლის თეთრეულს, სხვადასხვასახიანი თენთენებით (მაქმანებით) კაზმავენ, რომ მორთონ და მოალამაზონ სახლები იაილაში და მიუხედავდ იმისა, რომ ახალგაზრდა თაობას აღარ აინტერესებს, აღარ იყენებს ამ ნივთებს, მეშორთე ქალები წუხან იმაზე, რომ მათ შემდეგ ეს ხელობა აღარავის ეცოდინება და მაინც განაგრძობენ ამ საქმიანობას, რომელიც მათი სულისა და ხსოვნის ფაქიზი ნაწილია და ინახავს წინაპართაგან მიღებულ დახვეწილი ოსტატობის კვალსა და სახეებში კოდიფიცირებულ საკრალურ ცოდნას სამყაროს შესახებ.

იაილებში ქალების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა მრავალ-რიცხოვანი ოჯახის წევრებისა და სტუმრების დაპურებაცაა. იაილებში შენარჩუნებული აქვთ არა მხოლოდ ხალხური სამზარეულოს ელემენტები და კერძები (სირონი, ყველიხავიწი, მოხრაკული, ბექმეზი, ბორეგი, ბიში, ლუხუმი, ერიშტა, ხაშლამა, ტოლმა, ყაურმა, ფრინჯიანი ქათამი, ყაფლამა, ჭიმური...), არამედ აქ შემორჩენილია ქალთა ნადი –ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმა პროდუქტის შესანახად. იაილებიდან წამოსვლის წინ ქალები იკრიბებიან და მორიგეობით ყველა ოჯახში ამზადებენ ბარში წასაღებ რძის პროდუქტებს, ხმიადს და სინორის ფიდეებს (ფენებს). თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის ეროვნული იდენტობის წარმოჩენის ერთ-ერთ საშუალებას სუფრა წარმოადგენს. სუფრა, საერთო

ტრაპეზი იაილაზე განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. აქ იგი ხდება ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი, ურთიერთობის, კომუნიკაციის საშუალება. სუფრაზე მათი კავშირი ქართულ სამყაროსთან ჩანს არა მხოლოდ იმაში, რომ ქართული წესით წარმართავენ პურობას: ირჩევენ თამადას, ყვებიან წინაპრების სახელოვან საქმეებზე, განსაკუთრებით, გამორჩეულ ადამიანებზე, თავს იწონებენ ქართველთა ხელგაშლილობით და დასცინიან თურქი მეზობლების ხელმომჭირნეობას. არამედ იდენტობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის – ტრადიციული სასიმღერო ფოლკლორის წარმოჩენითაც. აქ სუფრის აუცილებელი კომპონენტია ქართული სიმღერა, რომელიც კარგად შემოინახა აქაურთა მეხსიერებამ. მათგან ერთ–ერთი – „იესა, მამული ქოსა“, რომელიც ართვინის მხარეში გავრცელებული პოპულარული სიმღერაა და, ტრადიციულად, დედოფლის გამოყვანის დროს სრულდება, აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული „სუფრის დაკავების“ წესს ასახავს. ამ წესს აქაურები „სუფრის დაჭერას“ ეძახიან. სუფრის დაკავების წესი შემოინახა აჭარელთა ეთნოკულტურამაც, მაგრამ მისი თანმხლები ლექს-სიმღერები ძალზე მწირია ან თითქმის გამქრალია, მაშინ, როცა ის კარგადაა შემონახული დევსქელელთა ისტორიულ მეხსიერებაში და დღესაც ასრულებენ ამ სიმღერას ქართველი სტუმრების საპატივცემულოდ და ეროვნული ცნობიერებისა და იმ ქართული სულისკვეთების წარმოსაჩენად, რომელიც თეთრიწყლის იაილებზე ტრიალებს.

აქაურმა ქართველებმა იაილაში შეინარჩუნეს არა მხოლოდ ქართული მატერიალური კულტურის, არამედ არამატერიალური კულტურის ელემენტებიც. ბუნებრივია, ხანგრძლივი დროით განსხვავებულ კულტურულ ველში მოქცეული ტრადიციების ნაწილი ძალზე ტრანსფორმირდა, მათი თავდაპირველი არსი და მნიშვნელობა მივიწყებულია, მაგრამ თურქეთში კომპაქტურად მცხოვრები ქართველების ყოფის შესწავლისას გამოიკვეთა ერთი საინტერესო ტენდენციაც: წეს-ჩვეულებათა ნაწილი მათ თითქმის უცვლელი, არქაული ფორმით შეინარჩუნეს. მეტიც, მშობლიურ, ქართულ გარემოში ზოგიერთმა რიტუალმა უფრო მეტად განიცადა ტრანსფორმაცია, ვიდრე უცხო გარემოში. კულტურული მეხსიერების ეს საინტერესო მოვლენა კარგად ჩანს იაილებზე გამართულ ხალხურ დღეობა–სანახაობებში.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი და ტრადიციული იყო თეთრიწყლის იაილებზე გავრცელებული **შუამთობის // მარიობის დღესასწაული,** რომელიც მთაზე ყოფნის შუა პერიოდში იმართებოდა და თან ახლდა ისეთი რიტუალები, როგორიცაა: ქურთობა // ქურდობა, ფატმა, ბუღების ჭედვა, სხვადასხვა სახის შეჯიბრებები, ხალხური გართობა-თამაშობანი, ცეკვები (დუზხორუმი, ჰემშილსამა, ჩაფთეთელი, ათაბარი, დელი ხორონი, ფაცა-ფუცა), წმ. წყალში („თეთრი წყალი“) განბანვის რიტუალი, ზიარეთობა იქვე, მთებში მდებარე გოგო მეზირზე (საფლავზე) და სხვ. (მალაყმაძე 2008: 136-148). ყველა ეს რიტუალი ანალოგიურია აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული მსგავსი წეს–ჩვეულებებისა, მაგრამ თურქეთის ქართველებმა უფრო სრულყოფილი სახით შემოინახეს ისინი. შუამთობის დღესასწაულს ამ ხეობაში წინ უძღოდა **მემხლიანობის // მენხლიანობის რიტუალი,** რომელიც გარეული, ველური ჯიშის

მხალეულისა და ბალახეულის შეგროვებას გულისხმობდა. მენხლიანობაზე მიდიოდნენ მთაში იაილებზე ასვლიდან ათი დღის შემდეგ („ათი დღის მერე რომ ამუალთ, წავალთ მოსაცრევლად დვარულის (მთის ველური მხალი)“ ან „ახალათ კი ამოვალთ, მევცრევთ ბალახ და ჩიჩეკ (ყვავილი)“. მემხლიანობას რომ მაგიური რიტუალის დანიშნულება ჰქონდა, ჩანს დევსქელის იალებზე გავრცელებულ ასეთ ჩვეულებაში: „დვარულის ცრევნაზე (კრეფა) მარსკლავა გოზე (ვარსკვლავა ტბაზე) მივდიოდით შუანთობამდე. თაზე რომ ევდოდით ახლად. გოლზე იბანდნენ, დედაბრები იმღერებდენ ცრევნაში, ისამებდნენ ჯილველოს“. დაბანა აუცილებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 3000 მეტრომდე სიმაღლეზე მდებარე ტბის წყალი ძალიან ცივია (ისე ცივია, საზამთრო გახეთქაო, გადმოგვცემს ინფორმატორი). აჭარაში დღეს ორივე რიტუალი ერთ – შუამთობის დღესასწაულშია გაერთიანებული, მაშინ, როცა დევსქელის იაილებზე ეს დღესასწაულები ცალ-ცალკე იმართებოდა, რაც მიუთითებს, რომ ხეობაში დღესასწაულის უფრო არქაული ფორმაა შენარჩუნებული (ლორია... 2019) .

თეთრიწყლის იაილების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და არქაული მეგალითური კულტურის ნაშთი შემონახულია მარსკლავა // ვარსკვლავა გოლზე (ტბაზე). „მზე რომ დააცხუნავს, მარსკვლავებივით აცქრიმანავს (ციმციებს) და მარსკლავა გოლი მიტომ ქვიაო“ – განმარტავენ ინფორმატორები. ამ ადგილს სამალავებს ეძახიან, რადგან მთიდან ბარში გადასვლისას ნივთებს, ბარგს აქ შემორჩენილ ქვის სამალავებში მალავდნენ. უზარმაზარი ლოდებისგან გაკეთებული კარიბჭეცაა შემორჩენილი და მეგალითური ნაქალაქარის კვალიც, რაც ჩვენი შორეული წინაპრების მიერ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ძვ. წ. III ათასწლეულიდან მოყოლებული იმ ციკლოპური ნაგებობების ჯაჭვის ერთი რგოლი უნდა იყოს, რაც ისტორიული დიაოხიდან (ტაოდან) იწყებოდა და ლაზეთისა და მცირე აზიის დიდ ნაწილზე იყო გადაჭიმული. აქაურებს სჯერათ, რომ მარსკვლავა გოლის ფსკერზე უძველესი ქალაქის ნაშთებია შენახული.

ზოგადად, თეთრიწყლის იაილებზე ბევრი მოვლენა მითოლოგიზებულია და საოცარი სიამაყის განცდა იგრძნობა წინაპრებთან სულიერი კავშირის შენარჩუნების გამო: „ჩვენი ძველებიც აქავრები არიან“... „მე თურქის მოქალაქე ვარ, ისე გურჯი ვარ, ქართველი“... „ჩვენი დედეები გურჯები იყვენ“... „ქართველები კაი ვართ, ქართველობა აქა არ გადატრიალებულა... (ლომთათიძე 2023).

საოცარი მიჯაჭვულობა აქვს იაილებს აქაურებისთვის. სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, საზაფხულოდ რამდენიმე დღით მაინც ჩამოდიან არა მარტო თურქეთის სხვადასხვა მხარეში გადასახლებულები, არამედ სხვა ქვეყნებში გადასულებიც. ლეგენდასავით ჰყვებიან, რომ ერთი კაცი, აქედან ამერიკაში გადასული, 40 წლის განმავლობაში ყოველ წელს ჩამოდიოდა, ორი-სამი დღე აქ „დადგებოდა“ და წავიდოდა. ჰყვებიან, რომ მანქანას ქვემოთ გზაზე დატოვებდა და იაილაში ფეხით ამოდიოდა, „ჩემი ბაბოი და დედიები ასე დადიოდნენო!“ იაილაში მათი ყოფნა თითქოს იმ სანატრელი მემლექეთის წიაღში დაბრუნებაა, რომელთან ემოციურ და სულიერ კავშირს ამ ადგილის ხელუხლებელი ავთენტურობის შენარჩუნებით უფრთხილდებოდნენ და ინახავდნენ.

დასკვნა

ამგვარად, ტრადიციული ქართული მენტალობის ბევრი მახასიათებელი დღემდე კარგადაა შემონახული თურქეთის ქართველთა ყოფაში. აქაურმა მოსახლეობამ, მიუხედავად დამპყრობელთა მხრიდან გამოვლენილი სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური აგრესიისა და რელიგიური ასიმილაციისა, შეინარჩუნა ძველქართული ტრადიციების მრავალი კომპონენტი. ეს განსაკუთრებით შეიგრძნობა ეთნიკურ ქართველ მესაქონლეთა საზაფხულო სეზონურ საცხოვრისში – იაილებში ყოფნის დროს. იაილა არის ის ადგილი, სადაც ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ არა უცხო, არამედ აბსოლუტურად მონოეთნიკურ, მშობლიურ გარემოში, მხოლოდ ეთნიკური ქართველების გარემოცვაში. აქ მათ არ სჭირდებათ გამიჯვნა „სხვებისგან“, თავიანთი განსხვავებულობის ხაზგასმა. იაილებში ისინი ცხოვრობენ მამაპაპისეული ცხოვრების წესით, იმ ღირებულებებითა და ფასეულობებით, რაც წინაპართაგან მიიღეს და რასაც ეყრდნობა მათი თვითმყოფადობის განცდა. ამდენად, იაილაში შენარჩუნებული ავთენტური ტრადიციები, ცხოვრების მამაპაპისეული წესი იქცა უცხო ეთნიკურ გარემოში ეთნიკური იდენტობის გადარჩენის პრაგმატულ საშუალებად და შთამომავლობისათვის წინაპართა ადათების გადაცემის გზად. იაილების ცხოვრება წარმოაჩენს თურქეთის ქართული მოსახლეობის წეს-ჩვეულებათა ორგანულ კავშირს ზოგადქართული სულიერი კულტურის უძველეს პლასტებთან. თეთრიწყლის იაილები არის ადგილი, სადაც მაღალია მშობლიურ ეთნოსთან ერთობის განცდა, ტრადიციებში შენახულია კოლექტიური მეხსიერების ხატები, ვლინდება კოლექტიური კულტურული იდენტობა. თეთრიწყლის იაილები არის ქართული იდენტობის ავთენტური ძეგლი, ქართული მენტალობის ერთგვარი კუნძული, რომელიც აქ შეინარჩუნეს ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილმა ეთნიკურმა ქართველებმა.

გამოყენებული ლიტერატურა

თოფჩიშვილი 2017: თოფჩიშვილი რ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთ საქართველო და ქართველები თურქეთში. თბილისი, 2017.

ლომთათიძე 2023: ლომთათიძე თ., ტრადიცია, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი თურქეთის ქართველებში. შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, I,. ბათუმი, 2023.

ლორია... 2019: ლორია მ., ლომთათიძე თ., მალაყმაძე რ., თურქეთის ქართველთა ეთნოვიზუალური ატლასის შექმნის პერსპექტივები. აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, II. თბილისი, 2019.

მაგნარელა 2005: მაგნარელა პ.ჯ., თურქეთში მცხოვრები ქართველების ასიმილაცია – სიტუაციის კვლევა: https://www.chveneburi.net/ka/turqetsi-mcxovrebi-qartvelebis-asimilaciasituaciis-kvleva-makale,39.html

მალაყმაძე 2008: მალაყმაძე რ., ლიგანის ხეობა. თბილისი, 2008.

მალაყმაძე... 2024: მალაყმაძე რ., ფუტკარაძე ე., ლომთათიძე თ., ჩელებაძე ნ., ჭიჭილეიშვილი მ., ეთნიკური იდენტობის ასპექტები დევსქელის ხეობის მოსახლეობის ისტორიულ-კულტურულ მეხსიერებაში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 18, №2. 2024.

მგელაძე 2022: მგელაძე ნ., სამეურნეო ყოფის ისტორიისათვის ტაო-კლარჯეთში: მესაქონლეობა და მესაქონლეთა ტრადიციული კულტურა. ქართული წყაროთმცოდნეობა, XXIV, თბილისი, 2022.
სმითი 2008: სმითი ე. დ., ნაციონალური იდენტობა. თბილისი, 2008.
ჭიჭინაძე 2013: ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თბილისი, 2013.
Erdemli 2012: Erdemli V., Identifying the Georgians Living in Turkey as a Diasporic Community (Türkiye'de Yaşayan Gürcülerin Diaspora Olarak Tanımlanması), Avrasya İncelemeleri Dergisi (AVİD), I/2 (2012), Posted: 29 Sep 2015, University of Birmingham - Centre for Russian and East European Studies (CREES).

References

Chichinadze 2013: Chichinadze Z., Muslim Georgians and their villages in Georgia. Tbilisi, 2013.
Erdemli 2012: Erdemli V., Identifying the Georgians Living in Turkey as a Diasporic Community (Türkiye'de Yaşayan Gürcülerin Diaspora Olarak Tanımlanması), Avrasya İncelemeleri Dergisi (AVİD), I/2 (2012), Posted: 29 Sep 2015, University of Birmingham - Centre for Russian and East European Studies (CREES)..
Lomtatidze 2023: Lomtatidze T., Tradition as a Marker of National Identity of the Georgians living in Turkey. Black sea region at the crossroads of civilizations, i, Batumi, 2023.
Loria... 2021: Loria M., Lomtatidze T., Malakmadze R., Prospects for creating an ethno-visual atlas of Turkish Georgians, Herald of Oriental Studies, No II. Tbilisi, 2019.
Magnarella 2005: Magnarella Paul J., Assimilation of Georgians living in Turkey – Situation Study: https://www.chveneburi.net/ka/turqetsi-mcxovrebi-qartvelebis-asimilaciasituaciis-kvleva-makale,39.html
Malakmadze 2008: Malakmadze R., Ligan Valley. Tbilisi, 2008.
Malakmadze... 2024: Malakmadze R., Lomtatidze T., Chichileishvili M., Putkaradze E., Chelebadze N., Aspects of Ethnic Identity in Historical-Cultural Memory of the Devskeli Gorge Population. bulletin of the georgian national academy of sciences, Vol.18, Issue 2, Tbilisi, 2024.
Mgeladze 2022: Mgeladze N., For the History of Agricultural Life-Style in Tao-Klarjeti: Herding and Traditional Culture of Herders. Georgian Source-Studies, XXIV, Tbilisi, 2022.
Smith 2008: Smith A., National Identity, Tbilisi, 2008.
Topchishvili 2017: Topchishvili R., Historic-Ethnographic South Georgia and Georgians in Turkey. Tbilisi, 2017.